

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/02

(ოქმი N2)

ქ. ბათუმი

27 თებერვალი 2015 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ
სხვადასხვა საქონელის/მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის 2015 წლის 26 თებერვლის N02-19/80 წერილის თანახმად:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

1) საწვავის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, სავარაუდო ღირებულებით - 103 620 ლარი.

2) 14 ცალი ციფრული ვიდეოკამერების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სავარაუდო ღირებულებით - 233 950 ლარი.

3) კინო და ვიდეო მომსახურებები (მექანიკური სატელევიზიო პროდუქცია) შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სავარაუდო ღირებულებით - 250 000 ლარი.

4) დაცვის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის (ექსკლუზივი) საშუალებით ღირებულებით - 133 200 ლარი.

5) სატელევიზიო აპარატურის შეკეთების და ტექნიკური მომსახურების (ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სატელევიზიო აპარატურის კაპიტალური რემონტი, მისი მოდერნიზაციის მიზნით) შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სავარაუდო ღირებულებით - 151 000 ლარი.

6) 3 ცალი ციფრული სტუდიური ვიდეოკამერის შესყიდვა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სავარაუდო ღირებულებით 206 000 ლარი.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“.

3. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში